

გლობუსი

მზია აბულაძე

სსიპ ქ.გორის VII საჯარო სკოლა

კლასი - IV

საგანი - ბუნებისმეტყველება, ქართული ენა.

გაკვეთილის თემა - „გლობუსი“ (მოსწავლის წიგნი „ბუნება 4“- მათა ბლიაძე, რუსუდან ახვლედიანი).

სასწავლო მიზნები:

- შეძლონ გლობუსზე ფერის მიხედვით განასხვაონ წყალი და ხმელეთი;
- გლობუსზე მოძებნონ და ჩამოთვალონ კონტინენტები და ოკეანეები;
- გაანალიზონ და დაიტანონ კონტურულ რუკაზე სხვადასხვა ინტერპრეტაციით მოცემული მასალა კონტინენტების შესახებ.

სწავლის შედეგები:

- **დამოკიდებულება:** გაეცნობიან გლობუსს და მის დანიშნულებას;
- **ცოდნა:** ისწავლიან გლობუსზე ხმელეთის და წყლის განსხვავებას ფერების მიხედვით; შეძლებენ კონტინენტების და ოკეანეების ჩამოთვლას და გლობუსზე ჩვენებას; გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს;
- **უნარები:** განივითარებენ მეცნიერული სტატიიდან და სხვა მედიამასალიდან ინფორმაციის ამოკრების, გაანალიზების და ორგანიზების უნარ-ჩვევებს; გამოიმუშავენ ინფორმაციის დახარისხებისა და ორგანიზების მიზნით გრაფიკული მარგანიზებლების გამოყენების უნარ-ჩვევებს; განივითარებენ გამოთქმული ვარაუდის გადამოწმების და კრიტიკული ანალიზის უნარს; (სტანდარტი - ბუნ. IV.7. ქართ. IV.5.)

მედიაწიგნიერების მიზანი: მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

მოდელი	რაიმე საგნის ნიმუში დაპატარავებული სახით.
შემოსაზღვრული	რაც შემოსაზღვრეს, რასაც გარშემო საზღვარი შემოავლეს.
გეოგრაფიული ობიექტი	დედამიწაზე არსებული ობიექტები.

ღერძი	წარმოსახული სწორი ხაზი, რომელიც ამა თუ იმ სხეულში გადის და რაიმე განსაკუთრებული რაიმე განსაკუთრებული უმოდრაობით სხეულის ბრუნვის დროს და სხვ.)
კონტინენტი	იგივე მატერიკი — ხმელეთის დიდი ერთეული, რომელიც გარშემორტყმულია წყლის დიდი მასივებით (ზღვები, ოკეანეები).

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

- დანართი 1. მზის სისტემის სურათი;
- დანართი 2. ფერადი ბარათები პლანეტების სახელებით;
- დანართი 3. მეცნიერული სტატია „გლობუსი“;
- დანართი 4. პოსტერი - „კონტინენტი“;
- დანართი 5. მორგანიზებული სქემა - „კონტინენტების რიცხვი“;
- დანართი 6. ვიდეორგოლი - „დედამიწის კონტინენტები და რეგიონები“;
- დანართი 7. მასალა ვიკიპედიიდან - „კონტინენტების რიცხვი“;
- დანართი 8. სამუშაო ფურცლები ჯგუფური მუშაობისთვის;
- დანართი 9. ფერადი ქაღალდის ზოლები;
- დანართი 10. მორგანიზებული სქემა - „კლასიფიკაციის საფუძველი“;
- დანართი 11. მოსწავლეთა ნამუშევრების gif-ი;
- დანართი 12. გასასვლელი ბარათები;

გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა:

აქტივობა I (2 წთ) - გამოწვევა. დანართი 1(მზის სისტემის სურათი); დანართი 2(ფერადი ბარათები პლანეტების სახელებით); წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს:

კითხვა	პასუხი
რა ჰქვია ჩვენს გალაქტიკას?	ჩვენს გალაქტიკას „ირმის ნახტომი“ ჰქვია.
რამდენი პლანეტაა მზის სისტემაში?	მზის სისტემაში რვა პლანეტაა.
ჩამოთვალეთ და სქემაზე გამოსახულ პლანეტებს დაუკავშირეთ მათი სახელები.	მოსწავლეები მზის სისტემის სურათზე გამოსახულ პლანეტებს აკრავენ ფერად ბარათებს პლანეტების

	სახელწოდებებით (მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი).
რომელ პლანეტებს შორის მდებარეობს დედამიწა?	დედამიწის მეზობელი პლანეტებია ვენერა და მარსი.
როგორი ფორმა აქვს დედამიწას?	დედამიწას სფეროს ფორმა აქვს.

აქტივობა II (5წთ) სტატიის - „გლობუსი“ წაკითხვა მასწავლებლის და მოსწავლეთა მიერ და მათთვის გაუგებარი ლექსიკური ერთეულების მონიშვნა.

დანართი 3. (სტატია „გლობუსი“ მოსწავლოს წიგნი „ბუნება 4“- მათა ბლიაძე, რუსუდან ახვლედიანი);

გლობუსი

მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დადგინდა, რომ დედამიწას „ბურთის“ სფეროს ფორმა აქვს, მეცნიერებმა მისი მოდელი შექმნეს. გლობუსი ჩვენი პლანეტის მრავალ მილიონჯერ შემცირებული მოდელია. გლობუსი დედამიწის ფორმას გვიჩვენებს.

დედამიწის უმეტესი ნაწილი წყლითაა დაფარული. მას „მსოფლიო ოკეანე“ ეწოდება. დედამიწაზე ხუთი ოკეანეა: წყნარი, ატლანტის, ინდოეთის, ჩრდილოეთის ყინულოვანი და სამხრეთის.

დედამიწის დანარჩენი ნაწილი ხმელეთია. ხმელეთის დიდი ნაწილები - კონტინენტებია. ესენია: ევროპა, აზია, ავსტრალია, აფრიკა, ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა, ანტარქტიდა.

კუნძული კონტინენტთან შედარებით ხმელეთის მცირე ფართობია, რომელიც ყველა მხრიდან წყლით არის შემოსაზღვრული, ხოლო ნახევარკუნძული სამი მხრიდანაა წყლით შემოსაზღვრული და ერთი მხრიდან ხმელეთს უერთდება.

გლობუსზე ზუსტად არის გამოსახული ოკეანეების, ზღვების, კონტინენტების, კუნძულების, ნახევარკუნძულებისა და სხვა გეოგრაფიული ობიექტების მოხაზულობა.

გლობუსზე, ისევე როგორც რუკაზე, წყალი ცისფრად აღინიშნება, ხოლო ხმელეთი - მწვანედ, ყვითლად და ყავისფრად.

გლობუსი

მზია აბულაძე

გლობუსზე მთელი დედამიწის ერთდროულად დანახვა შეუძლებელია. თუ მას ღერძის გარშემო დავატრიალებთ, მაშინ ჩვენთვის საჭირო ადგილს ადვილად მოვძებნით.

აქტივობა III (2წთ) ლექსიკუი მუშაობა: მოსწავლეები ასახელებენ სტატიაში მონიშნულ მათთვის გაუგებარ სიტყვებს. მათი მნიშვნელობის ახსნა ხდება ჯერ მოსწავლეთა ძალებით, ხოლო შემდეგ მასწავლებელი აზუსტებს მათ მნიშვნელობებს.

აქტივობა IV (2წთ) სტატიის ანალიზი: მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შემდეგ კითხვებს:

კითხვა	პასუხი
რატომ ითვლება გლობუსი დედამიწის მოდელად?	გლობუსი დედამიწის ფორმას გვიჩვენებს.
რა მტკიცებულება არსებობს იმის შესახებ, რომ დედამიწა მრგვალია?	კოსმოსიდან გადაღებული ფოტოსურათები გვიჩვენებს, რომ დედამიწა მრგვალია.
რომელი გეოგრაფიული ობიექტების მოხაზულობაა გამოსახული გლობუსზე?	გლობუსზე გამოსახულია ოკეანეების, ზღვების, კონტინენტების, კუნძულების, ნახევარკუნძულების და სხვა გეოგრაფიული ობიექტების მოხაზულობა.
რა უფრო მეტია დედამიწაზე, წყალი, თუ ხმელეთი?	დედამიწის უმეტესი ნაწილი წყლით არის დაფარული.
ჩამოთვალეთ და გლობუსზე უჩვენეთ ოკეანეები.	წყნარი ოკეანე, ატლანტის ოკეანე, ინდოეთის ოკეანე, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე, სამხრეთის ოკეანე.
რა ეწოდება ყველა ოკეანეს ერთად?	ყველა ოკეანეს ერთად მსოფლიო ოკეანე ეწოდება.
რამდენი კონტინენტია დედამიწაზე?	დედამიწაზე არის შვიდი კონტინენტი.
ჩამოთვალეთ და გლობუსზე უჩვენეთ კონტინენტები.	ევროპა, აზია, ავსტრალია, აფრიკა, ჩრდილოეთი ამერიკა, სამხრეთი ამერიკა, ანტარქტიდა.
ევრიპის და აზიის კონტინენტებს შორის საზღვარი ხმელეთზე გადის, თუ წყალზე?	ევროპასა და აზიას შორის საზღვრის უმეტესი ნაწილი ხმელეთზე გადის.


მასწავლებელი თვალსაჩინო ადგილას გამოაკრავს პოსტერს: „კონტინენტი“
დანართი 4.

(პოსტერი „კონტინენტი“);

კონტინენტი

**მომდინარეობს ტერმინისაგან
"Terre Continente",**

რაც „უწყვეტ მიწას“ ნიშნავს, ანუ
ეს არის ხმელეთის მასივი, რომლის
რომელიმე კუთხეში მისვლა
შესაძლებელია ზღვებისა და
ოკეანეების გადაულახავად.



აქტივობა V (1წთ) ინფორმაციის ამოკრება სტატიიდან „გლობუსი“ (მოსწავლის
წიგნი „ბუნება 4“ მაია ბლიაძე, რუსუდან ახვლედიანი) და სქემის 1 სვეტის
შევსება. დანართი 5. (მაორგანიზებელი სქემა „კონტინენტების რიცხვი“);

გლობუსი

მზია აბულაძე

მასწავლებელი დაფაზე აკრავს სქემას და სთხოვს მოსწავლეებს სახელმძღვანელოში მოცემულ სტატიაში ჩამოთვლილი კონტინენტების სახელები შეიტანონ სქემის I სვეტში (სახელმძღვანელოს მიხედვით).

აქტივობა VI (4წთ) მასწავლებელი პროექტორით უჩვენებს ნაწყვეტს ვიდეორგოლიდან “დედამიწის კონტინენტები“ (02:18წთ), რომელშიც გადაცემის - „საბავშვო ენციკლოპედია“ წამყვანი ნათია ნოზაძე ესაუბრება გეოგრაფ ლევან ნავროზაშვილს კონტინენტების შესახებ. დანართი 6(ვიდეორგოლი „დედამიწის კონტინენტები და რეგიონები“).

<http://www.ambioni.ge/dedamiwis-kontinentebi-natia-nozaze>

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მეცნიერის მიერ ჩამოთვლილი კონტინენტების სახელები შეიტანონ სქემის II სვეტში (მეცნიერის აზრით).

აქტივობა VII (5წთ) მასწავლებელი პროექტორით უჩვენებს მოსწავლეებს ინფორმაციას ვიკიპედიიდან: დანართი 7.(მასალა ვიკიპედიიდან „კონტინენტების რიცხვი“)

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98>

კონტინენტების რიცხვი[რედაქტირება | წყაროს რედაქტირება]

სხვადასხვა ქვეყანაში კონტინენტების რიცხვს სხვადასხვაგვარად მიიჩნევენ, ასე მაგალითად:

- **6 ერთეული:** ევრაზია, აფრიკა, ჩრდილოეთი ამერიკა, სამხრეთი ამერიკა, ანტარქტიდა,ავსტრალია. ეს მოდელი მიღებულია აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში.
- **6 ერთეული:** ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა, ანტარქტიდა, ავსტრალია. ეს მოდელი პოპულარულია ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ აზიაში. ამის გამოხატულებაა ოლიმპიური მოძრაობის ემბლემა 5 რგოლის სახით (ბუნებრივია, ანტარქტიდის გამოკლებით).
- **5 ერთეული:** ევრაზია, აფრიკა, ამერიკა, ანტარქტიდა, ავსტრალია.
- **4 ერთეული:** ევრაფრაზია, ამერიკა, ანტარქტიდა, ავსტრალია. ეს მოდელი ყველაზე მეტად შეესაბამება ტერმინის "კონტინენტი" განსაზღვრებას, ვინაიდან ევრაზია და აფრიკა ერთმანეთისაგან გამოყოფილია სუეცის არხით, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი და ამავე დროს არც ზღვას წარმოადგენს და არც

გლობუსი
მზია აბულაძე

ოკეანეს. ანალოგიურად ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა გაყოფილია პანამის არხით.

მოსწავლეები მოცემული მასალიდან ამოკრებენ საჭირო ინფორმაციას და შეიტანენ სქემის III, IV, V და VI სვეტიში (I მოსაზრება, II მოსაზრება, III მოსაზრება, IV მოსაზრება);

სქემა მიიღებს ასეთ სახეს:

სახელმძღვა ნელოს მიხედვით	ინტერვ იუ მეცნიერ თან	ინფორმაცია ვიკიპედიიდან			
		I მოსაზრ ება	II მოსა ზრება	III მოსაზ რება	IV მოსა ზრება
ევროპა	ევრაზია	ევრაზია	ევროპა	ევრაზი ა	ევრაფრ აზია
აზია	ავსტრალ ია	აფრიკა	აზია	აფრიკა	ამერიკა
ავსტრალია	აფრიკა	ჩრდ.ამე რიკა	აფრიკა	ამერიკ ა	ანტარქ ტიდა
აფრიკა	ჩრდ.ამე რიკა	სამხრ.ამ ერიკა	ამერიკ ა	ანტარქ ტიდა	ავსტრალ ია
ჩრდ.ამერიკ ა	სამხრ.ამ ერიკა	ანტარქ ტიდა	ანტარქ ტიდა	ავსტრალ ია	
სამხრ.ამერ იკა	ანტარქ ტიდა	ავსტრალ ია	ავსტრალ ია		
ანტარქტიდ ა					

აქტივობა VIII (10 წთ) ჯგუფური მუშაობა: მასწავლებელი კლასს ყოფს 5 ჯგუფად. ჯგუფებს ურიგებს ვიკიპედიიდან ამობეჭდილ ინფორმაციას „კონტინენტების რიცხვი“- დანართი 7, სამუშაო ფურცლებს - დანართი 8 და ფერადი ქაღალდის

გლობუსი

მზია აბულაძე

ზოლებს - დანართი 9. ჯგუფის ლიდერები კენჭისყრის პრინციპით ირჩევენ თითო ბარათს, რომელზეც ჯგუფის დავალებას აღწერილი და იწყებენ მუშაობას.

I ჯგუფი: კონტურულ რუკაზე კონტინენტები სხვადასხვა ფერის ფლომასტერებით გააფერადეთ ისე, როგორც სახელმძღვანელოს სტატიაშია გადმოცემული. ფერადი ფურცლის ზოლზე წარმოადგინეთ ინფორმაცია, თუ რა საფუძველს ემყარება კონტინენტების კლასიფიკაციის ეს მოდელი.

II ჯგუფი: კონტურულ რუკაზე კონტინენტები სხვადასხვა ფერის ფლომასტერებით გააფერადეთ ისე, როგორც მეცნიერის ინტერვიუსა და ვიკიპედიის ინფორმაციის პირველ მოსაზრებაში გადმოცემული. ფერადი ფურცლის ზოლზე წარმოადგინეთ ინფორმაცია, თუ რა საფუძველს ემყარება კონტინენტების კლასიფიკაციის ეს მოდელი.

III ჯგუფი: კონტურულ რუკაზე კონტინენტები სხვადასხვა ფერის ფლომასტერებით გააფერადეთ ისე, როგორც ვიკიპედიის ინფორმაციის მეორე მოსაზრებაშია გადმოცემული. ფერადი ფურცლის ზოლზე წარმოადგინეთ ინფორმაცია, თუ რა საფუძველს ემყარება კონტინენტების კლასიფიკაციის ეს მოდელი.

IV ჯგუფი: კონტურულ რუკაზე კონტინენტები სხვადასხვა ფერის ფლომასტერებით გააფერადეთ ისე, როგორც ვიკიპედიის ინფორმაციის მესამე მოსაზრებაშია გადმოცემული. ფერადი ფურცლის ზოლზე წარმოადგინეთ ინფორმაცია, თუ რა საფუძველს ემყარება კონტინენტების კლასიფიკაციის ეს მოდელი.

V ჯგუფი: კონტურულ რუკაზე კონტინენტები სხვადასხვა ფერის ფლომასტერებით გააფერადეთ ისე, როგორც ვიკიპედიის ინფორმაციის მეოთხე მოსაზრებაშია გადმოცემული. ფერადი ფურცლის ზოლზე წარმოადგინეთ ინფორმაცია, თუ რა საფუძველს ემყარება კონტინენტების კლასიფიკაციის ეს მოდელი.

აქტივობა IX (5წთ) ჯგუფური მუშაობის პრეზენტაცია: ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს: გაფერადებულ კონტურულ რუკებს გამოფენენ თვალსაჩინო ადგილზე, ხოლო საჭირო ინფორმაციით შევსებულ ქაღალდის ფერად ზოლებს აკრავენ სქემაზე - „კლასიფიკაციის საფუძველი“- მათთვის განკუთვნილ გრაფაში; მოსწავლეების ნამუშევრები მიიღებს ასეთ სახეს:

დანართი 10.(მოსწავლეთა ნამუშევრები -C:\Users\user\Desktop\კონტინენტები.gif

დანართი 11.(სქემა - „კლასიფიკაციის საფუძველი“);

I ჯგუფი	სახელმძღვანელოს მიხედვით: <i>7 კონტინენტი;</i>
	კლასიფიკაციის საფუძველი: <i>გეოგრაფიული საზღვრის უდიდესი ნაწილი ევროპასა და აზიას შორის გადის ხმელეთზე, მაგრამ მაინც ორ კონტინენტად არის წარმოდგენილი.</i>
II ჯგუფი	ვიკიპედიიდან I მოსაზრება/მეცნიერის აზრით: <i>6 კონტინენტი;</i>
	კლასიფიკაციის საფუძველი: <i>მსოფლიო ოკეანით ხმელეთი დაყოფილია 6 ნაწილად.</i>
III ჯგუფი	ვიკიპედიიდან II მოსაზრება: <i>6 კონტინენტი;</i>
	კლასიფიკაციის საფუძველი: <i>ეს მოდელი პოპულარულია ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ აზიაში, ამის გამოხატულებაა ოლიმპიური მოძრაობის ემბლემა 5 რგოლის სახით. ბუნებრივია ანტარქტიდის გამოკლებით).</i>
IV ჯგუფი	ვიკიპედიიდან III მოსაზრება: <i>5 კონტინენტი;</i>
	კლასიფიკაციის საფუძველი: <i>სამხრეთი და ჩრდილოეთი ამერიკა გაყოფილია პანამის არხით, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი და არც ზღვას წარმოადგენს და არც ოკეანეს.</i>
V ჯგუფი	ვიკიპედიიდან IV მოსაზრება: <i>4 კონტინენტი;</i>
	კლასიფიკაციის საფუძველი: <i>ევრაზია და აფრიკა ერთმანეთისგან გამოყოფილია სუეცის არხით, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი და არც ზღვას წარმოადგენს და არც ოკეანეს.</i>

აქტივობა X (7წთ) დისკუსია: ჯგუფური ნამუშევრების გაანალიზების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ნებას, რომ დაჯგუფდნენ იმის მიხედვით, თუ რომელ მოსაზრებას უფრო მეტად იზიარებენ და იწყებს დისკუსიას თემაზე: „კონტინენტების რიცხვი“. მოსწავლეები გამოთქვამენ აზრს, თუ გეოგრაფების რომელი მოსაზრება მიაჩნიათ ჭეშმარიტად და საკუთარ აზრს ამყარებენ არგუმენტებით. დისკუსიის მსვლელობის პროცესში მოსწავლეებს, პოზიციის შეცვლის შემთხვევაში, შეუძლიათ გადაჯგუფება.

აქტივობა XI (2წთ) შეჯამება: მოსწავლეები ავსებენ „გასასვლელ ბარათებს“ და გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ტოვებენ მასწავლებლის მაგიდაზე. დანართი 12(გასასვლელი ბარათები);

გასასვლელი ბარათი

გლობუსი
მზია აბულაძე

გვარი, სახელი-----

შემაჯამებელი კითხვა: რა რჩევას მისცემდით სხვადასვა ქვეყნის მეცნიერებს?-----

აქტივობა XII (1წთ.) საშინაო დავალება: სტატია „გლობუსი“; მოიძიონ ინფორმაცია და არგუმენტებით გაამყარონ საკუთარი პოზიცია კონტინენტების რაოდენობის შესახებ. შექმნან პოსტერი თანაკლასელებისთვის;

შეფასება - განმავითარებელი

N	კრიტერიუმები	დაბალი	საშუალო	მაღალი	რეკომენდაცია
1	ტექსტის წაკითხვა და გააზრება				
2	მედიაშესაძლებლობებიდან ინფორმაციის ამოკრება				
3	ინფორმაციის გაანალიზება და ორგანიზება				
4	გრაფიკული მაორგანიზების გამოყენება				
5	ჯგუფთან თანამშრომლობა				

გლობუსი

მზია აბულაძე

გამოყენებული მულტიმედია რესურსები:

<http://www.ambioni.ge/dedamiwis-kontinentebi-natia-nozaze>

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98>